საქართველო: გაეროს ექსპერტი დადებითად აფასებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით პოლიტიკის განვითარების პროგრესს და ხაზს უსვამს განხორციელების მნიშვნელობას

ჟენევა (14 სექტემბერი 2023) - დღეს, გაეროს ექსპერტმა დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ინკლუზიური და უფლებებზე დაფუძნებული გარემოს განვითარების მიმართულებით და ხაზი გაუსვა პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელების მნიშვნელობას.

„გასულ წლებში, საქართველოში უპრეცედენტოდ სწრაფი ტემპებით გატარდა საკანონმდებლო და პოლიტიკის რეფორმები, რომლებიც ითვალისწინებს ქვეყნის მიერ 2014 წელს რატიფიცირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის უფლებრივი სტანდარტების დანერგვას ქვეყანაში“, განაცხადა გერარდ ქუინმა, გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა შეზღდული შესაძლებებლობების მქონე პირთა უფლებების საკითხში საქართველოში ათდღიანი ოფიციალური ვიზიტის დასასრულს (განცხადება იხილეთ)

„განსაკუთრებით აღსანიშნავია 2020 წელს მიღებული კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ, რაც, პრაქტიკული განხორციელების პირობებში, მნიშნელოვან წინგადადმულ ნაბიჯს წარმოადგენს კონკრეტული ცვლილებების მიღწევის მიმართულებით“, განაცხადა ქუინმა.

„შეინიშნება გულწრფელი მზაობა იმისთვის, რომ დავიწყებას მიეცეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთამიმართ მოძველებულისამედიცინო მიდგომა, რომელიც ეფუძნება ქმედუუნარობის და პატერნალისტურ სენტიმენტებს. ხორციელდება რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ამ მიდგომების ჩანაცვლებას ინკლუზიური საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელი ისეთი ფუნდამენტური ღირებულებებით, რომლებიც აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების თანაბარ შესაძლებლობას გახდნენ აქტიური მოქალაქეები“, დასძინა ექსპერტმა.

მისი თქმით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭებისთვის მოძველებული სამედიცინო მიდგომის გამოყენებამ ხელი შეუწყო შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ მცდარი მოსაზრებებისა და სტერეოტიპების გავრცელებას..

„მივესალმები საქართველოს მზაობას სტატუსის მინიჭების პროცესში ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე გადასვლისთვის, რაც აუციელბელია მენტალობის შესაცვლელად და თითოეული პირისთვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და განცდილი სიძნელეების გათვალისწინებით სერვისებზე წვდომის უზრუნველსაყოფად“, განაცხადა ექსპერტმა.

განსაკუთრებით დადებითი შეფასება დაიმსახურა, როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური საჯარო უწყებების მზაობამ, მეტად მჭიდროდ ითანამშრომლონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან, მათ საკითხებზე მომუშავე

ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა აქტორებთან. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის, განსაკუთრებით სათემო დონეზე, გამჭვირვალე და მიუკერძოებელი მხარდაჭერის მნიშვნელობას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პრიორიტეტების განსაზღვრა ძნელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და მათ წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ სანდო და სეგრეგირებული მონაცემების სიმწირის ფონზე.

„დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო ქმედუნარიანი მხარდაჭერის სერვისების განვითარება შეუძლებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების განსხვავებული საჭიროებების გაცნობიერების გარეშე“, ნათქვამია განცხადებაში.

ექსპერტმა დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ აღებული ვალდებულება დეცენტრალიზაციის პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმატებისთვის აუცილებელია, ამ პროცეს თან ახლდეს სათემო და შინმოვლის სერვისების ჰოლისტური განვითარება.

ქვინის თქმით იგი ნათლად ხედავს დეცენტრალიზაციის მიმდინარე რეფორმების პოტენციალს სერვისების მიზნობრიობისა და მათზე ხელმისაწვოდომობის გაუმჯობესების მიმართულებით. თუმცა, მისი განცხადებით, ამისთვის აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტებს ამისთვის საკმარისი რესურსი გააჩნდეთ.

„ბოლო პერიოდის საკანონმდებლო რეფორმებს სწორი გეზი აქვთ, თუმცა, მათი განხორციელება ჯერ კიდევ პრობლემურია. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, მათ შორის, მაგალითად, ფიზიკურ და ციფრულ გარემოზე ხელმისაწვდომობის, შრომის ბაზარზე მონაწილეობისა და ეკონომიკური გაძლიერების, განათლების, მენტალური ჯანმრთელობის, უფლებაუნარიანობისა და სასამართლოზე ხელმისაწვდომობის გაუჯობესების მიმართულებით“, განაცხადა ექსპერტმა.

სპეციალური მომხსენებელი ვიზიტის შესახებ დეტალურ ანგარიშს, მიგნებებისა და რეკომენდაციების ჩათვლით, ადამიანის უფლებათა საბჭოს 2024 წლის მარტში წარუდგენს.

დასასრული

გერარდ ქუინი (ირლანდია)*გაეროს* ***სპეციალური მომხსენებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების საკითხში****, რომელიც ადამიანის უფლებათა საბჭომ 2020 წლის ოქტომბერში. ბატონი ქუინი ლუნდის უნივერსიტეტში (შვედეთში) მოქმედ რაულ უალენბერგის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტსა და ლიდსის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო) კვლევით მიმართულებებს ხელმძღვანელობს. მოლაპარაკებების დროს, რომლებიც წინ უძღოდა შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციის მიღებას, გერარდ ქუინი წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების (NHRIs) მთავარ საკონტაქტო პირს და ხელმძღვანელობდა Rehabilitation International-ს დელეგაციას გაეროს სამუშაო ჯგუფების მუშაობისას (2004). წარსულში იგი იყო ირლანდიის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი. ასევე, ამავე უნივერსიტეტში, შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცენტრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი.*

სპეციალური მომხსენებლების საქმიანობა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საბჭოს [სპეციალური პროცედურების](#) ნაწილს, რომელიც, გაეროს ადამიანის უფლებათა სისტემაში დამოუკიდებელ ექსპერტთან ყველაზე დიდი ორგანოა. იგი ზოგადი სახელწოდების ქვეშ აერთიანებს საბჭოს დამოუკიდებელ ფაქტების მოკლვევის და მონიტორინგის მექანიზმებს, რომლებიც სწავლობენ კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ სიტუაციას ან აწარმოებენ თემატურ მოკვლევას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სპეციალური პროცედურების ექსპერტები მოხალისეობრივად მუშაობენ. ისინი არ წარმოადგენენ გაეროს თანამშრომლებს და არ იღებენ ანაზღაურებას გაწეული სამუშაოსთვის. ისინი მოქმედებენ ინდივიდუალურად და ნებისმიერი მთავრობისგან დამოუკიდებლად.

გაეროს ადამიანის უფლებათა გვერდი: Georgia

***მედიასთან ურთიერთობის** საკითხებსა და დამატებითი ინფორმაციასთან დაკავშირებით დაუკავშირდით:*
ჟენევაში: Barbora Zamrska, *barbora.zamrska@un.org; hrc-sr-disability@un.org*
თბილისი: მერი მახარაშვილი,

გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტების შესახებ ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: Maya Derouaz (*maya.derouaz@un.org*) *ან* Dharisha Indraguptha (*dharisha.indraguptha@un.org*)

თვალი ადევნეთ ახალ ამბებს ადამიანის უფლებათა საკითხებში გაეროს დამოუკიდებელ ექსპერტთა საქმიანობის შესახებ ტვიტერზე: @*UN_SPExperts*.

გაღელვებთ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები?
მაშ, დღესვე იმოქმედეთ ადამიანის უფლებათა დაცვისთვის!
#Standup4humanrights
და ეწვიეთ ჩვენს გვერდს: *http://www.standup4humanrights.org*